

# საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები და საერთაშორისო პრაქტიკა

საქართველოს კანონის პროექტზე „სოციალური დახმარების სისტემის შესახებ“

ნოემბერი, 2006 წელი

## 1.1. ფოკუს ჯგუფების ანალიზი<sup>1</sup>

2006 წლის ოქტომბერ-ნოემბერში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ ფინანსური მხარდაჭერით ყვარელში, დუშეთში, გორში, ქუთაისში, ოზურგეთსა და სენაკში ჩატარა ფოკუს ჯგუფები „სოციალური დახმარების სისტემების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობას იღებდნენ ყოფილი საკრებულოს წევრები, გამგეობის აპარატის თანამშრომლები, სოციალური აგენტები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, იურისტები, და სხვა დაინტერესებული პირები. თითოეულ შეხვედრას 12-14 ადამიანი ესწრებოდა და სულ 75-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა განხილვებში.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს წინასწარ გადაეგზავნათ კანონპროექტი, მასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები და წერილი, რომელშიც დეტალურად იყო ახსნილი შეხვედრის მიზანი და იმ სავარაუდო საკითხების მონახაზი, რაზეც შეხვედრაზე იქნებოდა საუბარი. ამდენად, თითოეულ მონაწილეს საშუალება ჰქონდა, წინასწარ გასცნობოდა კანონპროექტს და ჩამოეყალიბებინა თავისი ხედვა და მოსაზრებები.

### ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები:

#### კანონპროექტის დადებითი მხარეები

თითქმის ყველა ჩატარებულ შეხვედრაზე დამსწრე მოსახლეობის, მათ შორის თვით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ (საკრებულოს წევრები, გამგებლები) აღინიშნა, რომ კანონპროექტი ატარებს პოზიტიურ დატვირთვას. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ხელიფუხსლების პრიორიტეტულ მიმართულებებში მოექცა სოციალური სფერო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონპროექტით გამოიკვეთა კომპლექსური მიდგომა მთელი სოციალური სფეროსა და მისი დაცვის მექანიზმების მიმართ. კანონპროექტი ისტორიულ დატვირთვასაც ატარებს, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა სოციალური სფეროს მარეგულირებელი ერთიანი კანონპროექტის დაწერა, განსხვავებით ადრე არსებული ეკლექტური მიდგომისაგან, როცა სოციალური დაცვის ცალკეული საკანონმდებლო დებულებები სხვადასხვა კანონებში იყო მიმოხილული.

#### ზოგადი უკმაყოფილება კანონით გათვალისწინებული სიახლეებით

შეხვედრათა უმრავლესობაზე საზოგადოება ზოგად უკმაყოფილებას გამოთქვამდა საკანონმდებლო კონცეპტუალურ მიდგომებთან დაკავშირებით. კრიტიკის საგანი ხშირ შემთხვევებში იყო

<sup>1</sup> ფოკუს ჯგუფების ანგარიში მხოლოდ მონაწილეთა შეხვედრებს ასახავს და არ წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ მოსაზრებებს.

სოციალური დაცვის სისტემის დეტალური რეგულირების არარსებობა. აღნიშნული სფეროს კომპლექსური სახით რეგულირების სურვილის მიუხედავად, კანონმდებელი მთელ რიგ სოციალური დაცვის გარანტიებს და ფორმებს არასრულად წარმოადგენდა კანონპროექტში.

განსაკუთრებულად ხაზი გაესვა სოციალური დაცვის კონცეფციის არარსებობის პრობლემას, რასაც რეალურად უნდა ეფუძნებოდეს მთელი სოციალური დაცვის სისტემა.

### **შეფასების კრიტერიუმებისა და ცალკეული იურიდიული დეფინიციების არარსებობა**

რეგიონებში ორგანიზებულ შეხვედრებში მონაწილეები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ კანონპროექტი არ ითვალისწინებს ცალსახად გამოკვეთილ და ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს მთელი რიგი სამართლებრივი ინსტიტუტებისა თუ ინსტიტუციებისათვის. ასე მაგალითად, კანონპროექტი არ განსაზღვრავს კრიტერიუმებს მუდმივად მცხოვრებ სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების, ლატაკი ოჯახებისა და უსახლკარო პირების იდენტიფიცირებისათვის. უცნობია, თუ რის მიხედვით უნდა მოხდეს სოციალური დახმარებების ოდენობების გადასაწილება. ასევე, გაურკვეველია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში შექმნილი სპეციალური სააგენტოს ფუნქციები და კომპეტენციური დატვირთვა სოციალური დაცვის სფეროში.

### **დეცენტრალიზაციის აუცილებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციური დატვირთვის გაზრდის გზით**

შეხვედრებზე ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ კანონპროექტით ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სოციალური დაცვის სფეროში მინიმუმამდეა დაყვანილი და საკმაოდ დაკნინებულია. ზოგადად არის ნახსენები თვითმმართველი ერთეულების სოციალური დაცვის სისტემაში ჩართულობის შესაძლებლობის შესახებ. ასევე აღინიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები საკმაოდ კომპეტენტურნი არიან ადგილობრივ დონეზე არსებული სოციალური მდგომარეობის შესახებ, ამდენად, მათი ფუნდამენტური მონაწილეობა სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება.

### **უკმაყოფილება სოციალური დაცვის სფეროს რეგულირების მაღალი ცენტრალიზაციით**

შეხვედრებში მონაწილეების უმრავლესობამ ნეგატიურად შეაფასა მთელი სისტემის მართვის ცენტრალიზების მაღალი დონე და მართვის სადავეების თავმოყრა ერთი სახელმწიფო ორგანოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელში. ასევე აღინიშნა, რომ კანონპროექტით ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრს აპრიორი ეძლევა მთელი რიგი სოციალური დაცვის საკითხების რეგულირების საშუალება შიდა ნორმატიული აქტით – მინისტრის ბრძანებით. კანონპროექტის მიხედვით, მინისტრი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას განსაზღვროს საარსებო და რეინტეგრაციის შემწეობის, შვილობილობის ანაზღაურების, სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ოდენობები, ისევე როგორც, დამტკიცოს არაფულადი სოციალური მომსახურების სტანდარტები. ამდენად, გამოითქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია აღნიშნული საკითხების კანონით რეგულირება და შესაბამისად, მეტი გამჭვირვალობა საზოგადოებისათვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

### **მოსაზრებები ფულად სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებით**

პოზიციები ფულად სოციალურ დახმარებებთან დაკავშირებით სხვადასხვა რეგიონებში იდენტური აღმოჩნდა. მოსახლეობის აზრით, აუცილებელია კანონპროექტით განისაზღვროს ერთჯერადი და მრავალჯერადი ფულადი სოციალური დახმარებების ოდენობები. აღნიშნულის გამოთვლა უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული საარსებო მინიმუმის განსაზღვრული პროცენტული რაოდენობის მიხედვით. ასევე, კანონით უნდა განისაზღვროს ერთჯერადი და მრავალჯერადი ფულადი სოციალური დახმარების ბენეფიციართა წრე. ყურადღება გამახვილდა უმუშევრებისა და სტუდენტების ფულადი სოციალური დახმარებების არსებობის აუცილებლობაზეც.

### **სხვადასხვა სახეობის არაფულადი სოციალური დახმარების არსებობის აუცილებლობა**

შეხვედრებზე გამოიკვეთა არაფულადი სოციალური დახმარების სხვადასხვა სახეების კანონპროექტით განსაზღვრის აუცილებლობა, რაც შესაბამისობაში იქნებოდა საქართველოში არსებულ სოციალური მდგომარეობასთან. გამოიკვეთა ნატურალური სახით სოციალური დახმარების გაცემის საკითხიც (შემა, წამალი, და სხვ.). ასევე, საუბარი იყო მომსახურების სახით სოციალურ დახმარებაზე, რომელიც შეეხებოდა პენსიონერებსა და იმ ინვალიდ ბავშვებს, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება და გაითვალისწინებდა მათ მოვლას და პროდუქტებით დახმარებას ადგილზე მიტანით.

### **სოციალურ დავებთან დაკავშირებული გასაჩივრების მექანიზმი**

დამსწრე საზოგადოებამ უმაკოფილება გამოთქვა კანონპროექტში მოცემულ გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით და აღნიშნული მექანიზმის დახვეწის აუცილებლობაზე ისაუბრა. მათი აზრით, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არ უნდა ხდებოდეს ინსტანციური სახით საკითხის გაჭიანურება სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული საკითხის გასაჩივრების დროს. კანონპროექტის არსებული ვარიანტით, ცალკეული საკითხების გასაჩივრების დროს, საკითხზე გადაწყვეტილების მიღების ვადა მერყეობს სამიდან ოთხ თვემდე, რაც კიდევ უფრო ართულებს სოციალურად დაუცველი პირის მდგომარეობას. ამდენად, მათი აზრით, აუცილებელი და მნიშვნელოვანია გასაჩივრების ვადებისა და ინსტანციების შემცირება, ისევე როგორც სასამართლოს ფუნქციური დატვირთვის გაზრდა არსებული საკითხების გადაწყვეტისას.

## **1.2. სოციალური დახმარების სისტემის სამართაშორისო პრაქტიკა**

სოციალური დახმარების სისტემა წარმოადგენს სოციალური დაცვის ერთიანი სისტემის ნაწილს, რომლის განვითარება და იმპლემენტაცია ხდება ამ ერთიანი სისტემის სხვა შემადგენელი კომპონენტების რეალურ ცხოვრებაში რეალიზაციის პარალელურად.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილება სოციალური დახმარების სისტემის კონცეპტუალური თავისებურებებისა და სხვა სოციალური დაცვის სისტემებთან ურთიერთქმედების კუთხით.

წინამდებარე ანალიზი მოიცავს სოციალური დახმარების სისტემის კანონმდებლობის საერთაშორისო გამოცდილებას ბალტიისპირეთის (ესტონეთი, ლიტვა, ლატვია), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (უკრაინა, სლოვენია), ამერიკის კონტინენტის ქვეყნების (ვენესუელა, ურუგვაი) და მექსიკის მაგალითზე.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში სოციალური დახმარების სისტემის ჩამოყალიბება და ამ სფეროში კანონმდებლობის მიღება მოხდა სოციალური დაცვის ერთიანი ნაციონალური სისტემის შექმნის პარალელურად. ლიტვასა და ლატვიაში, ისევე როგორც ესტონეთში სოციალური დახმარების სისტემა, თავის მხრივ, წარმოადგენს სოციალური დაცვის სისტემის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. ამდენად, ამ სფეროში კანონმდებლობის შემუშავება წარმართა სოციალური დახმარების, სოციალური დაზღვევისა და საპენსიო სისტემების კომპლექსური რეფორმის პარალელურად. ჯერ კიდევ 1990 წელს ლიტვაში მიღებულ იქნა კანონი “სოციალური დაცვის სისტემის პრინციპების შესახებ”, რითაც განისაზღვრა ერთიანი სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბების პრინციპები. კანონი შეეხო ქვეყნის მთელს მოსახლეობას. აღნიშნული კანონით განიმარტა სოციალური დაზღვევისა და სოციალური დახმარების სისტემის არსი, მნიშვნელობა და კომპლექტენციები, ისევე როგორც შეიქმნა სახელმწიფო ორგანოები ამ სფეროების ადმინისტრირებისათვის და განისაზღვრა დაფინანსების წყაროები.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში სოციალური დახმარების სეგმენტი წარმოაგენილია რამოდენიმე კანონით (ლიტვის მაგალითი):

2005 წლის კანონი “სოციალური დახმარებისა და შემწეობების შესახებ”;

2004 წლის კანონი “ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული სოციალური შემწეობების შესახებ”;

2004 წლის კანონი “დაბალშემოსავლიანი ოჯახების ფულადი სოციალური დახმარების შესახებ”;

2004 წლის კანონი “ადამიანის სიკვდილთან დაკავშირებული სოციალური დახმარების შესახებ”;

2004 წლის კანონი “სოციალური მომსახურების გაწევის შესახებ”.

ლიტმის კანონმდებლობის მიხედვით სოციალური დახმარების ორი სახე არსებობს: ფულადი და არაფულადი (გარკვეული მომსახურების სახით).

**ფულადი სახის სოციალური დახმარების ბენეფიციარები არიან:**

- ინვალიდი ბავშვები;
- ობოლი ბავშვები;
- პირები, რომლებიც ცნობილ იყვნენ შრომისუუნაროდ ან ნაწილობრივ შრომისუუნაროდ 24 წლის ასაკის მიღწევამდე;
- პირები, რომლებიც 24 წლის ასაკამდე განცდილი ტრამვისა ან სხვა დაავადებების გამო 24 წლის ასაკიდან, მაგრამ არაუგვიანეს 26 წლის ასაკისა, ცნობილ იყვნენ შრომისუუნაროდ ან ნაწილობრივ შრომისუუნაროდ;
- მშობლები, მშვილბეული ოჯახი, მეურვეები, რომელთაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს ან ცნობილ იყვნენ შრომისუუნაროდ ან ნაწილობრივ შრომისუუნაროდ 60% და მეტი შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო, ასევე რომლებიც 15 წლის მანძილზე ოჯახში უკლიდნენ ინვალიდ შვილებს (I და II ჯგუფის ინვალიდ შვილებს ბავშვობიდან) ან 18 წლის ასაკს მიღწევამდე სრულიად განუკურნებელ შვილებს (სოციალური დახმარება გაიცემა ინვალიდი შვილების რაოდენობის მიხედვით);
- მრავალშვილიანი დედები, რომელთაც ჰყავთ ხუთი ან მეტი 8 წლის ასაკამდე ბავშვი და რომელთაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს ან ცნობილ იყვნენ შრომისუუნაროდ ან ნაწილობრივ შრომისუუნაროდ 60% და მეტი შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო;
- პირები, რომელთაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს ან ცნობილ იყვნენ შრომისუუნაროდ ან ნაწილობრივ შრომისუუნაროდ 60% და მეტი შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო და რომლებიც არ იღებენ არანაირი სახის პენსიას, არიან უმუშევრები და არ ეწვიან ფერმერულ მეურნეობას.

ცალკე გამოყოფილია მეორე კატეგორია, რომელშიც ექცევა ოჯახები (მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა), რომლებიც იღებენ სოციალურ დახმარებას ბავშვის მოვლის გამო და დაბალი შემოსავლის მქონე პირები, რომლებიც იღებენ ფულად სოციალურ დახმარებას კომუნალური გადასახადების დაფარვის გამო.

ბალტიისპირეთში ბოლო ორი წლის მანძილზე გატარებული სოციალური დახმარების რეფორმის შედეგად პრიორიტეტი მიენიჭა ბავშვიან ოჯახებს. განისაზღვრა ფულადი სოციალური დახმარების ისეთი სახეები, როგორიცაა:

- შემწეობა ბავშვის გაჩენის გამო;
- შემწეობა ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით;
- შემწეობა ორსულთათვის;
- გრანტი ბავშვის გაჩენის გამო.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონი ცალსახად განსაზღვრავს სოციალური დახმარების ოდენობას პირთა წრის მიხედვით, რაც პირდაპირ კავშირშია სოციალური დახმარების საპენსიო სისტემასთან, რადგან სოციალური დახმარების ოდენობის განსაზღვრა ხდება “სოციალური დახმარების შესახებ კანონში მოცემული ძირითადი საპენსიო განაკვეთის მიხედვით”. კანონით სოციალური დახმარების ოდენობები შემდეგნაირად ნაწილდება:

- ინვალიდი ბავშვები მძიმე დაავადებებით ძირითადი პენსიის ორმაგი ოდენობა;
- ინვალიდი ბავშვები საშუალო სიმძიმის დაავადებებით ძირითადი პენსიის ერთნახევარი ოდენობა;
- ინვალიდი ბავშვები მსუბუქი დაავადებებით ძირითადი პენსიის ერთმაგი ოდენობა;
- პირები, რომელთაც 24 წლის ასაკს მიღწევამდე განცდილი ტრამვისა ან სხვა დაავადებების გამო 24 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 26 წლის ასაკის მიღწევამდე, ცნობილ იყვნენ შრომისუუნაროდ ან ნაწილობრივ შრომისუუნაროდ ძირითადი პენსიის ორმაგი ოდენობა;

- და ა.შ.

ფულადი სოციალური დახმარების არატიპიურ სახეს წარმოადგენს სოციალური შემწეობა სკოლის მოსწავლეებზე, რომლის მიხედვით სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სასკოლო კვებით და ასევე სოციალური დახმარება სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფის შესახებ.

დამოუკიდებლად არსებობს კანონი, რომელიც აწესრიგებს ფულადი სოციალური დახმარებების გაცემას ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ფულადი სოციალური დახმარებების გაცემას ახდენენ ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებული სოციალური დახმარების განყოფილებები. ფულადი ინექციები სოციალური დახმარებისათვის ყოველწლიურად ერიცხება ადგილობრივ თვითმმართველობებს ცენტრალური ბიუჯეტიდან. ბენეფიციარების გამოვლენას და შესაბამისი სტატუსის მინიჭებას ახდენს იმავე ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებული სოციალური დახმარების განყოფილებები. კანონით დადგენილია ის ნორმატივები, რომელსაც სოციალური დახმარების მისაღებად უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის კატეგორია. მხედველობაში მიიღება საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის, მიწის ნაკვეთის ოდენობა, ისევე როგორც ყოველთვიური შემოსავლის მაჩვენებელი. კანონით შესაძლებელია ცალკეულ პირებზე ერთდროულად სხვადასხვა სახის პენსიის გაცემა, თუ ეს პირი ექცევა ბენეფიციარის კონკრეტულ კატეგორიაში.

### **სოციალური დახმარების მეორე სახეს წარმოადგენს არაფულადი სოციალური დახმარება მომსახურების გაწევის სახით.**

მომსახურება ხორციელდება სპეციალურად შექმნილ სერვის ცენტრებში. მომსახურების სხვა სახე ბენეფიციარის ადგილსამყოფელის მიხედვით განისაზღვრება. სოციალური დახმარების ეს მიმართულება რეგულირდება კანონით “სოციალური მომსახურების გაწევის შესახებ” და სოციალური დაცვისა და შრომის მინისტრის მთელი რიგი ბრძანებებით. აღნიშნულ სამინისტროში შექმნილია სპეციალური დეპარტამენტი სოციალური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. სამინისტროს პარალელურად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების სპეციალიზირებული დაწესებულებებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. შექმნილია სოციალურ მუშაკთა გადამზადების სპეციალური სისტემა, რომელსაც სათავეში უდგას სოციალური დაცვისა და შრომის სამინისტროს სოციალურ მუშაკთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრი, რომელიც განათლების სამინისტროს აქტიური მონაწილეობით ახდენს სოციალურ მუშაკთა ატესტაციასა და სერტიფიცირებას.

რაც შეეხება საჩივრების სისტემას, მოქალაქეები ფულად სოციალურ დახმარებებთან დაკავშირებით საჩივრებით მიმართავენ ადგილობრივ თვითმმართველობებს, ხოლო მომსახურების სახით სოციალურ დახმარებებზე განცხადებები შედის სპეციალურად შექმნილ სერვის ცენტრებსა და სოციალური დაცვისა და შრომის სამინისტროში.

### **მსტონმთის სოციალური დაცვის სისტემა 7 სქემისაგან შედგება, ესენია:**

- ჯანმრთელობის დაზღვევა;
- უმუშევრობის დაზღვევა;
- უმუშევრობის სახელმწიფო დახმარებები;
- სახელმწიფო საოჯახო დახმარებები;
- სოციალური დახმარებები უნარშეზღუდული პირებისათვის;
- დაკრძალვის სახელმწიფო დახმარებები;
- საპენსიო დაზღვევა.

**ჯანმრთელობის დაზღვევის სქემა** რეგულირდება ჯანმრთელობის დაზღვევის აქტით, რომელიც ძალაში 2002 წლის ოქტომბერში შევიდა და მოიცავს სამ ძირითად სახეობას:

- სამედიცინო მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას;
- დახმარების ნაღდი ფულით გადახდას ავადმყოფობის, დედობის ან ავადმყოფ დამოკიდებულ პირზე მზრუნველობის გამო;

- წამლების ღირებულების ანაზღაურებას დაზღვეულ პირთა რამდენიმე კატეგორიისათვის.

**უძუშევრობის დაზღვევა** 2003 წლის იანვრიდან უძუშევრობის რისკის დაფარვა ხდება ნაღდი ფულით დახმარების ორსაფეხურიანი სისტემით: გამოუშვებზე დაფუნებული უძუშევრობის დაზღვევის დახმარებით, რომელიც გადასახადების შეტანას ითვალისწინებს (ძირითადი დახმარება) და უძუშევრობის სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ ითვალისწინებს გადასახადების შეტანას (არაძირითადი დახმარება).

**უძუშევრობის სახელმწიფო დახმარება** შემოღებულია არასაკმარისი ეკონომიკური რესურსების პირობებში ასამოქმედებლად. ეს შემწეობა ეფუძნება შემოწმებას, რაც გულისხმობს პირის შემოსავლის რაოდენობის გათვალისწინებას. დახმარების გადახდა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის შემოსავალი დახმარების ტარიფზე დაბალია.

**სახელმწიფო საოჯახო დახმარებები** – საოჯახო დახმარებათა სქემა რეგულირდება აქტივ საოჯახო დახმარებების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის იანვარში და მისი მიზანია, ნაწილობრივ დაფაროს ოჯახთა ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ბავშვებზე ზრუნვას, მათ აღზრდასა და განათლებას. **ყოველთვიური საოჯახო დახმარებების სახეობებია:**

- **ბავშვის დახმარება** გადახდა იწყება ბავშვის დაბადებიდან, ვიდრე მას 16 წელი არ შეუსრულდება;
- **ბავშვზე ზრუნვის დახმარება** მიეცემა ერთ-ერთ მშობელს, რომელიც ზრდის ერთ ან მეტ 3 წლამდე ასაკის ბავშვს;
- **მარტოხელა მშობლის ბავშვის დახმარება** მიეცემა ბავშვს 16 წლის ასაკამდე, იმ შემთხვევაში, თუ: ბავშვის დაბადების მოწმობაში არ ყოფილა გაკეთებული ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ; ასეთი ჩანაწერის გაკეთება დედის განცხადების საფუძველზე მოხდა; თუ ერთ-ერთი მშობელი გაექცა მართლმსაჯულებას;
- **ახალწვეულის ბავშვის დახმარება** მიეცემა იმ ბავშვს 16 წლამდე, რომლის მშობელიც მსახურობს თავდაცვის შეიარაღებულ ძალებში;
- **მეურვეობის დახმარება** ეძლევა ბავშვს, რომელსაც არ ჰყავს მშობელი და მასზე დაწესებულია მეურვეობა.

**მარტოხელა ოჯახის დახმარებები:**

- **ბავშვის დაბადების დახმარება** მიეცემა ერთ-ერთ მშობელს ყოველი ბავშვის დაბადებისას;
- **დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების დახმარება** ეძლევა მშობლის მზრუნველობას მოკლებულ პირებს, რომლებიც გაიზარდნენ სოციალური დახმარების დაწესებულებაში ან სპეციალურ საჭიროებათა მქონე ბავშვების სკოლაში, როდესაც ისინი იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას ახალ საცხოვრებელ ადგილას.

**კვარტალური საოჯახო დახმარებები:**

- **დახმარება ოჯახისათვის, სადაც ოთხი და მეტი ბავშვი იზრდება** მიეცემა ერთ-ერთ მშობელს (მეურვეს ან მზრუნველს), რომელიც ზრდის ოთხ ან მეტ ბავშვს;
- **დახმარება ოჯახისათვის, რომელიც სამ ტყუპს ზრდის** მიეცემა ერთ-ერთ მშობელს (მეურვეს ან მზრუნველს), თუ ბავშვები კალენდარული წლის მოცემულ კვარტალში 16 წლამდე ასაკის არიან.

**წლიური საოჯახო დახმარებები:**

- **სკოლის დახმარება** მიეცემა 16 წლამდე ასაკის ბავშვებს.

**სოციალური დახმარება უნარშეზღუდულთათვის** სქემა უნარშეზღუდულთათვის სოციალური დახმარებების შესახებ რეგულირდება აქტივ ინვალიდებისთვის სოციალური დახმარებების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2001 წელს. დახმარების სახეობებია:

- **უნარშეზღუდული ბავშვის დახმარება** მიეცემა ბავშვს (16 წლამდე), რომელსაც აქვს ზომიერი, მწვავე ან მძიმე დაავადება;
- **უნარშეზღუდული ზრდასრულის დახმარება** მიეცემა პირს 16 წლის ასაკს ზემოთ,

რომელსაც აქვს ზომიერი, მწვავე ან მძიმე დაავადება;

- **მზრუნველის დახმარება** ეს არის ყოველთვიური დახმარება 3-18 წლამდე ასაკის პირის მეურვის ან მზრუნველისათვის, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისას;
- **უნარშეზღუდული მშობლის დახმარება** ყოველთვიური დახმარება, რომელიც გაიცემა უნარშეზღუდული (ან მარტოხელა უნარშეზღუდული) მშობლისათვის;
- **განათლების დახმარება** მიეცემა უნარშეზღუდულ სტუდენტს;
- **რეაბილიტაციის დახმარება** მიზნად ისახავს ნაწილობრივ ანაზღაუროს 16-65 წლის ასაკის უნარშეზღუდულ პირთა აქტიური რეაბილიტაციის რეალური ხარჯების სარეაბილიტაციო დაწესებულებაში;
- **კვალიფიკაციის ამაღლების დახმარება** დახმარების გადახდა ხდება მომუშავე უნარშეზღუდული პირის პროფესიული წვრთნის ან ოფიციალური განათლების რეალური ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით.

**დაკრძალვის სახელმწიფო დახმარება** 2001 წლის 1 მარტიდან დაკრძალვის სახელმწიფო დახმარების მიღების უფლების მინიჭება და მისი გადახდის პროცედურა რეგულირდება აქტით: დაკრძალვის სახელმწიფო დახმარებების შესახებ. ეს არის ერთჯერადი დახმარება, რომელიც მიზნად ისახავს გარდაცვლილის ტრანსპორტირების, კრემაციის ან დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურებას ესტონეთის ტერიტორიაზე.

**საპენსიო დაზღვევა** - ეს არის ახალი საპენსიო სისტემა, რომელიც სამ საფეხურს მოიცავს:

- რეფორმირებული სისტემით (რომელიც გულისხმობს გადასახადების გადახდას ხელფასის მიღებასთან ერთად) დაფინანსებული საჯარო საპენსიო სქემა;
- სავალდებულო კერძო პირის მიერ მართული დაფინანსებული სქემა;
- მოხალისეთა მიერ დაფინანსებული კერძო საპენსიო სქემები.

ამასთან, გარკვეული სახის **დახმარებები** გათვალისწინებულია უკანონოდ რეპრესირებული პირებისათვის და **კომპენსაციები** დანაშაულთა მსხვერპლთათვის.

ისევე როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებში, **შტრანინაშიც** სოციალური დაცვის ერთიანი სისტემა არსებობს, მაგრამ მთელი რიგი თავისებურებებით. აღნიშნულ ქვეყანაშიც სოციალური დახმარების სემინტი რამდენიმე კანონით არის რეგულირებული. ეს კანონებია:

- კანონი “ბავშვიანი ოჯახების სოციალური დახმარების შესახებ”;
- კანონი “ცხოვრების მინიმალური სტანდარტების შესახებ”;
- კანონი “ლატაკი ოჯახების საოციალური დახმარების შესახებ”.

პირველი კანონის მიხედვით, სოციალური დახმარება ხორციელდება მხოლოდ ფულადი ფორმით და შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- სოციალური დახმარება ფენმძიმობისა და ბავშვის გაჩენის გამო;
- ერთჯერადი დახმარება ბავშვის გაჩენის გამო;
- სოციალური დახმარება 3 წლამდე ბავშვის მოვლის გამო;
- სოციალური დახმარება ბავშვის მეურვეობისა და მზრუნველობისათვის;
- სოციალური დახმარება ბავშვიანი დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისათვის (16 წლამდე ბავშვისათვის ან 18 წლამდე სტუდენტი ბავშვებისათვის).

ზემოთ აღნიშნული სოციალური დახმარების სახეებისათვის სოციალური დახმარების ოდენობა ინდივიდუალურად არის განსაზღვრული პირდაპირ კანონით ან მითითებითი ნორმის სახით არის მოცემული.

ფინანსური ინექციები სუბვენციების სახით ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობების ბიუჯეტებს. საჩივრები ფულადი სახის სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებით შეიძლება შევიდეს როგორც პირდაპირ ადგილობრივ თვითმმართველობებში, ასევე სასამართლოშიც გასაჩივრდეს.

კანონი “ლატაკი ოჯახების საოციალური დახმარების შესახებ” ასევე ითვალისწინებს მხოლოდ ფულადი სახის სოციალურ დახმარებას 6 თვის მანძილზე ლატაკი, ცხოვრების მინიმალური სტანდარტების მქონე ოჯახებისათვის. აღნიშნული სტატუსის მინიჭება ხდება ოჯახების ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, რასაც ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობები. გამონაკლის შემთხვევებში ფულადი სოციალური დახმარება ცხოვრების ბოლომდე მიეცემათ ინვალიდ მარტოხელა პირებს და 65 წელს გადაცილებულ მარტოხელა მოხუცებს.

დაფინანსების წყარო ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო ბიუჯეტია. კონტროლს თანხების განკარგვაზე ახორციელებს შრომისა და სოციალური პოლიტიკის სახელმწიფო სააგენტო.

სლოვენიაში სოციალური დაცვის სისტემა ხუთი განყოფილებითაა დაყოფილი ნაწილისგან შედგება. ოთხი მათგანი სოციალურ დახმარების სფეროს განეკუთვნება, ხოლო მეხუთე კი სოციალური დახმარების სეგმენტია.

სოციალური დახმარების სისტემის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს კანონი “სოციალური დახმარების შესახებ”. კანონის მიხედვით სოციალური დახმარების ორი სახე არსებობს ფულადი და მომსახურების სახით სოციალური დახმარება.

კანონით ფულადი სოციალური დახმარების ორი სახე არსებობს:

- ფინანსური სოციალური დახმარება;
- დამატებითი სოციალური დახმარება.

ფინანსური სოციალური დახმარების პირთა წრეში, რომელზედაც გაიცემა ფულადი სოციალური დახმარება ექვევება შრომისუნარო და 60 წელს გადაცილებული მარტოხელა პირები, რომელთაც არ გააჩნიათ არანაირი შემოსავალი. მათ ცხოვრების ბოლომდე მიეცემათ მინიმალური ხელფასის (250 აშშ დოლარი 2002 წლის მდგომარეობით) 60 პროცენტი (150 აშშ დოლარი).

დამატებითი სოციალური დახმარება გაიცემა ისეთ ოჯახებზე, რომელთა თვიური შემოსავალი ერთ სულ ოჯახის წევრზე მინიმალური ხელფასის გარკვეულ პროცენტზე დაბალია. მაგალითისათვის, 7 წლამდე ბავშვებზე ეს მაჩვენებელი 29%-ია, მოზარდებზე 52%. დამატებითი სოციალური დახმარება ფარავს განსხვავებას აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელსა და რეალურ თვიურ შემოსავალს შორის.

სოციალური დახმარების მეორე კატეგორიაში შედის მომსახურების გზით სოციალური დახმარება, რომელიც შემდეგი სახისაა:

- პირველადი სოციალური დახმარება (სოციალური დახმარება ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, მოზარდთა კრიზისული ცენტრები);
- პირადი და ოჯახის სოციალური დახმარება (ფსიქოლოგიური და/ან სოციალურ-პედაგოგიური დახმარება ოჯახებისათვის, კრიზისული ცენტრები ბავშვთა უფლებების დასაცავად);
- სტაციონარული დახმარება;
- სხვა სახის მომსახურებითი სოციალური დახმარება.

ზემოთ აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად რეგიონების მიხედვით შექმნილია სერვისისა და რეაბილიტაციის ცენტრები მოსახლეობის მომსახურების მიზნით. ასევე არსებობს ადგილზე მომსახურების განხორციელება იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც ხანდაზმულობის ან ინვალიდობის გამო შეფერხებული აქვთ გადაადგილების საშუალება.

რაც შეეხება ისეთი სახის ე.წ. სოციალურ დახმარებებს, როგორცაა საარსებო შემწეობა, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, რეინტეგრაციის შემწეობა, შვილობილობის ანაზღაურება, სრულწლოვანზე საოჯახო მზრუნველობის ანაზღაურება და სხვა, სლოვენის კანონმდებლობის მიხედვით, ისინი არ შედიან სოციალურ დახმარებათა კატეგორიაში, არამედ მათი რეალიზაცია ხდება სოციალური დახმარების საკმაოდ ეფექტური სისტემების მეშვეობით.



სოციალურ დახმარების ადმინისტრირებას სლოვენიაში ახდენს სოციალური დაცვის სამინისტრო ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად. სოციალური დახმარება ფინანსდება პირდაპირ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან.

შრომისა და სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საჩივრების განსახილველად შექმნილია სპეციალური სასამართლოები ორ ინსტანციად პირველი და სააპელაციო.

საინტერესოა ლათინური ამერიკის ქვეყნების გამოცდილება სოციალური დახმარების სფეროში მენეჯმენტისა და ურთიერთობის მაგალითზე. ამ ქვეყნებში, ისევე როგორც მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოებში, სოციალური დახმარების სისტემა სოციალური დაცვის ერთიანი დიდი სისტემის შემადგენელი ნაწილია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური დახმარების მიმართულება და მისი სახეები არცთუ ისე მრავალფეროვანია. ეს ფაქტორი განპირობებულია იმით, რომ სოციალური დახმარება სავალდებულო სოციალური დაზღვევის მიერ არის ათვისებული და სოციალურ დახმარებას ე.წ. საპენსიო დაზღვევის სახე აქვს მიღებული.

ასე მაგალითად, ურუგვაში სოციალური დახმარება გაიცემა მხოლოდ მარტოხელა მოხუცებსა და ინვალიდებს. დანარჩენი სოციალური დახმარების სახეები იფარება სავალდებულო სახელმწიფო ან კერძო დაზღვევის სისტემებით. ისეთი ფულადი სოციალური დახმარების კატეგორიები როგორცაა, საარსებო შემწეობა, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, სრულწლოვანზე საოჯახო მზრუნველობის ანაზღაურება, დახმარება უმუშევრობის გამო და სხვა, წარმოდგენილია პენსიის სახით და გაიცემა სახელმწიფო ან კერძო სპეციალური ფონდებიდან.

ამ მიმართულებით პროცესების ადმინისტრირებას ახდენს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თავისი სტრუქტურული ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით.

მექსიკის 2001 წლის კანონი “სოციალური დაცვის შესახებ” საერთოდ არ შეიცავს ისეთ ცნებას, როგორცაა “სოციალური დახმარება”. კანონის მიხედვით, იქმნება სავალდებულო და არასავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემები, რომლის ფარგლებშიც შექმნილ ფონდებში აკუმულირებული თანხებით ხდება პენსიების სახით სხვადასხვა სოციალური მიმართულებებით თანხების გაცემა.

სავალდებულო დაზღვევის გარეშე შეუძლებელია ისეთი ფულადი სახის დახმარებების მიღება, როგორცაა:

- პენსია საწარმოო ტრავმის გამო;
- პენსია ავადმყოფობისა და მშობიარობის გამო;
- საარსებო შემწეობა;
- საყოფაცხოვრებო სუბსიდია;
- დახმარება ხანში შესულ პირთა და ინვალიდებისათვის;
- სამედიცინო-ფსიქოლოგიური მომსახურება.

აღნიშნული ფულადი დახმარებების ოდენობა განსაზღვრულია პირდაპირ კანონით. პროცესების ადმინისტრირებას ახდენს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.